სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

18 ნოემბერი 2026

N 21/16832

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 16 ნოემბერს შპს ,,მედიკალ ტექნოლოგმა“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების (გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში ნარჩენების აღდგენის და განთავსების (ნარჩენების გაუვნებელყოფა-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია) საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) **გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის დაზუსტებული დოკუმენტაცია.** შესაბამისი განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/707ff626-d0ee-459c-b3e1-ca78a0d4b3a9.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზშ-ის ანგარიშის დამატებით განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები საზოგადოებას/დაინტერესებულ საზოგადოებას სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შეუძლია წარმოადგინოს **2026 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ **შპს ,,მედიკალ ტექნოლოგის“ მიერ წარმოდგენილი განცხადების** განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/16832-21-2-202611181706